03 02 04	**საქალაქო მომსახურების, სატრანსპორტო სამუშაოების გაფორმების და საავადმყოფოების მოწესრიგება ხარჯები**	0.3	0.0	0.3	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.3	0.0	0.3	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	საქონელი და მომსახურება	0.3	0.0	0.3	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.3	0.0	0.3	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული	**0.3**		**0.3**	**5.0**		**5.0**	**5.0**		**5.0**
03 02 04	**ქარსაცავი ზოლის მოწყობა**	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0.0	0.0	0.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული	**0.0**			**2.0**		**2.0**	**0.0**		
03 03	**კეთილმოწყობის ღონისძიებები**	167.2	48.6	118.6	182.2	51.0	131.2	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	167.2	48.6	118.6	182.2	51.0	131.2	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	167.2	48.6	118.6	182.2	51.0	131.2	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	167.2	48.6	118.6	182.2	51.0	131.2	0.0	0.0	0.0
	სხვა შენობა-ნაგებობები	**167.2**	**48.6**	**118.6**	**182.2**	**51.0**	**131.2**	**0.0**		
03 02 05	**საკონტროლოსპარტერის შეძენა**	2.3	0.0	2.3	28.3	17.3	11.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	2.3	0.0	2.3	28.3	17.3	11.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	2.3	0.0	2.3	28.3	17.3	11.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენ საქონელი და მომსახურება	2.3	0.0	2.3	28.3	17.3	11.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული	**2.3**		**2.3**	**28.3**	**17.3**	**11.0**	**0.0**		
04 00	**განათლება**	774.2	168.2	606.0	1,252.4	97.3	1,155.1	810.0	0.0	810.0
	ხარჯები	491.4	16.7	474.7	810.0	0.0	810.0	810.0	0.0	810.0
	სუბსიდიები	491.4	16.7	474.7	810.0	0.0	810.0	810.0	0.0	810.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	282.8	151.5	131.3	442.4	97.3	345.1	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	282.8	151.5	131.3	442.4	97.3	345.1	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	282.8	151.5	131.3	442.4	97.3	345.1	0.0	0.0	0.0
	სხვა შენობა-ნაგებობები	**282.8**	**151.5**	**131.3**	**442.4**	**97.3**	**345.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**
04 01	**სკოლამდელი განათლების დაფინანსება**	774.2	168.2	606.0	1,252.4	97.3	1,155.1	810.0	0.0	810.0
	ხარჯები	491.4	16.7	474.7	810.0	0.0	810.0	810.0	0.0	810.0
	სუბსიდიები	491.4	16.7	474.7	810.0		810.0	810.0		810.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	282.8	151.5	131.3	442.4	97.3	345.1	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	282.8	151.5	131.3	442.4	97.3	345.1	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	282.8	151.5	131.3	442.4	97.3	345.1	0.0	0.0	0.0
	სხვა შენობა-ნაგებობები	**282.8**	**151.5**	**131.3**	**442.4**	**97.3**	**345.1**	**0.0**		
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	785.5	13.2	772.3	939.1	79.0	860.1	725.6	0.0	725.6
	ხარჯები	715.5	0.0	715.5	732.0	0.0	732.0	725.6	0.0	725.6
	საქონელი და მომსახურება	2.9	0.0	2.9	7.0	0.0	7.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენი საქონელი და	2.9	0.0	2.9	7.0	0.0	7.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული	**2.9**	**0.0**	**2.9**	**7.0**	**0.0**	**7.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	სუბსიდიები	712.6	0.0	712.6	725.0	0.0	725.0	725.6	0.0	725.6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	70.0	13.2	56.8	207.1	79.0	128.1	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	70.0	13.2	56.8	207.1	79.0	128.1	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	70.0	13.2	56.8	204.6	79.0	125.6	0.0	0.0	0.0
	არასაცხოვრებელი შენობები	**49.8**	**0.0**	**49.8**	**88.5**	**0.0**	**88.5**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	სხვა შენობა-ნაგებობები	**20.2**	**13.2**	**7.0**	**116.1**	**79.0**	**37.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0	0.0	2.5	0.0	2.5	0.0	0.0	0.0
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**2.5**	**0.0**	**2.5**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	ვიდეო-აუდიო	**0.0**	0.0	0.0	**1.5**	0.0	1.5	**0.0**	0.0	0.0
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა	**0.0**	0.0	0.0	**1.0**	0.0	1.0	**0.0**	0.0	0.0
05 01 01	**სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა**	142.0	0.0	142.0	149.1	0.0	149.1	120.0	0.0	120.0
	ხარჯები	142.0	0.0	142.0	149.1	0.0	149.1	120.0	0.0	120.0
	სუბსიდიები	142.0		142.0	149.1		149.1	120.0		120.0
05 01 02	**სპორტული დარბაზების/მოედნების შეძენა/აშენებლობა**	20.2	13.2	7.0	116.1	79.0	37.1	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.2	13.2	7.0	116.1	79.0	37.1	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	20.2	13.2	7.0	116.1	79.0	37.1	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	20.2	13.2	7.0	116.1	79.0	37.1	0.0	0.0	0.0
	სხვა შენობა-ნაგებობები	**20.2**	**13.2**	**7.0**	**116.1**	**79.0**	**37.1**	**0.0**		
05 02 01	**ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის“ადმინისტრაციული ხარჯები**	62.0	0.0	62.0	51.3	0.0	51.3	52.0	0.0	52.0
	ხარჯები	62.0	0.0	62.0	51.3	0.0	51.3	52.0	0.0	52.0
	სუბსიდიები	62.0		62.0	51.3		51.3	52.0		52.0
05 02 01	**კულტურის სახლები**	201.9	0.0	201.9	143.6	0.0	143.6	145.0	0.0	145.0
	ხარჯები	175.9	0.0	175.9	143.6	0.0	143.6	145.0	0.0	145.0
	სუბსიდიები	175.9		175.9	143.6		143.6	145.0		145.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	26.0	0.0	26.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	26.0	0.0	26.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	26.0	0.0	26.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არასაცხოვრებელი შენობები	**26.0**		**26.0**	**0.0**				**0.0**	
05 02 01	**ბიბლიოთეკები**	48.0	0.0	48.0	110.7	0.0	110.7	55.8	0.0	55.8
	ხარჯები	48.0	0.0	48.0	52.8	0.0	52.8	55.8	0.0	55.8
	სუბსიდიები	48.0		48.0	52.8		52.8	55.8		55.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	57.9	0.0	57.9	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	57.9	0.0	57.9	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	0.0	0.0	0.0	57.9	0.0	57.9	0.0	0.0	0.0
	არასაცხოვრებელი შენობები	**0.0**			**57.9**		**57.9**	**0.0**		
05 02 01	**მუზეუმები**	37.4	0.0	37.4	48.7	0.0	48.7	48.0	0.0	48.0
	ხარჯები	37.4	0.0	37.4	47.7	0.0	47.7	48.0	0.0	48.0
	სუბსიდიები	37.4		37.4	47.7		47.7	48.0		48.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0	0.0	1.0	0.0	1.0	0.0	0.0	0.0
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**1.0**	**0.0**	**1.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	სხვა ინვენტარის შეძენა როგორც არარეზიდენტისგან	**0.0**			**1.0**		1.0	**0.0**		
05 02 01	**ბუნების დაცვის ხარჯები**	5.8	0.0	5.8	6.3	0.0	6.3	6.5	0.0	6.5
	ხარჯები	5.8	0.0	5.8	6.3	0.0	6.3	6.5	0.0	6.5
	სუბსიდიები	5.8		5.8	6.3		6.3	6.5		6.5
05 02 02	**კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**	98.3	0.0	98.3	58.3	0.0	58.3	60.0	0.0	60.0
	ხარჯები	98.3	0.0	98.3	58.3	0.0	58.3	60.0	0.0	60.0
	სუბსიდიები	98.3		98.3	58.3		58.3	60.0		60.0
05 02 01	**ხელოვნების სკოლა**	93.6	0.0	93.6	134.7	0.0	134.7	105.0	0.0	105.0
	ხარჯები	69.8	0.0	69.8	104.1	0.0	104.1	105.0	0.0	105.0
	სუბსიდიები	69.8		69.8	104.1		104.1	105.0		105.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23.8	0.0	23.8	30.6	0.0	30.6	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	23.8	0.0	23.8	30.6	0.0	30.6	0.0	0.0	0.0
	შენობა-ნაგებობები	23.8	0.0	23.8	30.6	0.0	30.6	0.0	0.0	0.0
	არასაცხოვრებელი შენობები	**23.8**		**23.8**	**30.6**		**30.6**	**0.0**		**0.0**
05 03	**საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**	25.0	0.0	25.0	18.3	0.0	18.3	18.3	0.0	18.3
	ხარჯები	25.0	0.0	25.0	18.3	0.0	18.3	18.3	0.0	18.3
	სუბსიდიები	25.0		25.0	18.3		18.3	18.3		18.3
05 04	**ტელე-რადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**	51.3	0.0	51.3	63.0	0.0	63.0	65.0	0.0	65.0
	ხარჯები	51.3	0.0	51.3	61.5	0.0	61.5	65.0	0.0	65.0
	საქონელი და მომსახურება	2.9	0.0	2.9	7.0	0.0	7.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2.9	0.0	2.9	7.0	0.0	7.0	0.0	0.0	0.0
	სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული	**2.9**		**2.9**	**7.0**		**7.0**	**0.0**		
	სუბსიდიები	48.4		48.4	54.5		54.5	65.0		65.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0.0	0.0	0.0	1.5	0.0	1.5	0.0	0.0	0.0
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის შეძენა	**0.0**	**0.0**	**0.0**	**1.5**	**0.0**	**1.5**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	ვიდეო-აუდიო	**0.0**			**1.5**		1.5	**0.0**		
05 02 01	**ა(ა)იპ „დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბერეთის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური ხიმღერის სკოლა“ და ხალხური ხიმღერის სკოლა“**	0.0	0.0	0.0	39.0	0.0	39.0	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	0.0	0.0	0.0	39.0	0.0	39.0	50.0	0.0	50.0
	სუბსიდიები	0.0			39.0		39.0	50.0		50.0
06 00	**ჭიახლეთის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	535.1	0.0	535.1	585.1	40.0	545.1	580.1	0.0	580.1
	ხარჯები	535.1	0.0	535.1	585.1	40.0	545.1	580.1	0.0	580.1
	სუბსიდიები	247.1	0.0	247.1	286.1	0.0	286.1	277.1	0.0	277.1
	სოციალური უზრუნველყოფა	288.0	0.0	288.0	299.0	40.0	259.0	303.0	0.0	303.0
	დამჭირვებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	288.0	0.0	288.0	299.0	40.0	259.0	303.0	0.0	303.0
	ფულადი ფორმით	**288.0**	**0.0**	**288.0**	**299.0**	**40.0**	**259.0**	**303.0**	**0.0**	**303.0**
06 01	**ჯანდაცვის პროგრამები**	77.1	0.0	77.1	91.1	0.0	91.1	77.1	0.0	77.1
	ხარჯები	77.1	0.0	77.1	91.1	0.0	91.1	77.1	0.0	77.1
	სუბსიდიები	77.1		77.1	91.1		91.1	77.1		77.1
06 02 03	**სათნოების სახლი**	170.0	0.0	170.0	195.0	0.0	195.0	200.0	0.0	200.0
	ხარჯები	170.0	0.0	170.0	195.0	0.0	195.0	200.0	0.0	200.0
	სუბსიდიები	170.0		170.0	195.0		195.0	200.0		200.0
06 02 04	**ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები**	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	სოციალური უზრუნველყოფა	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	დამჭირვებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0	3.0	0.0	3.0
	ფულადი ფორმით	**2.0**		**2.0**	**3.0**		**3.0**	**3.0**		**3.0**
06 02 02	**სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება**	286.0	0.0	286.0	296.0	40.0	256.0	300.0	0.0	300.0
	ხარჯები	286.0	0.0	286.0	296.0	40.0	256.0	300.0	0.0	300.0
	სოციალური უზრუნველყოფა	286.0	0.0	286.0	296.0	40.0	256.0	300.0	0.0	300.0
	დამჭირვებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	286.0	0.0	286.0	296.0	40.0	256.0	300.0	0.0	300.0
	ფულადი ფორმით	**286.0**		**286.0**	**296.0**	**40.0**	**256.0**	**300.0**		**300.0**

შემოსულობები

შემოსულობები		**9,927.9**	**4,150.2**	**5,777.7**	**6,142.2**	**2,283.4**	**3,858.8**	**4,469.6**	**0.0**	**4,469.6**
შემოსავლები	**1**	**9,874.8**	**4,150.2**	**5,724.6**	**6,142.2**	**2,283.4**	**3,858.8**	**4,459.6**	**0.0**	**4,459.6**
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**53.1**	**0.0**	**53.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**10.0**	**0.0**	**10.0**
ფინანსური აქტივების კლება	**32**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალდებულებების ზრდა	**33**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
შემოსავლები	**1**	**9,874.8**	**4,150.2**	**5,724.6**	**6,142.2**	**2,283.4**	**3,858.8**	**4,459.6**	**0.0**	**4,459.6**
გადასახადები	**11**	**2,969.8**	**0.0**	**2,969.8**	**1,500.0**	**0.0**	**1,500.0**	**1,534.1**	**0.0**	**1,534.1**
საშემოსავლო გადასახადი ქონების გადასახადი	113	2,969.8	0.0	2,969.8	1,500.0	0.0	1,500.0	1,534.1	0.0	1,534.1
საქართველოს საწარმოთა-ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	74.3		74.3	95.0		95.0	120.0		120.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0.0			0.0			0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	2.8	0.0	2.8	2.0	0.0	2.0	2.0	0.0	2.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონებაზე	113131	2.1		2.1	2.0		2.0	2.0		2.0
არეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	113132	0.7		0.7	0.0			0.0		0.0
საქართველოში რეგისტრირებულ მიუძღვნ ავტომობილებზე	113133	0.0			0.0			0.0		
	113134	0.0			0.0			0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	113135	0.0			0.0			0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ შეღლიანებზე	113136	0.0			0.0			0.0		
სამოქალაქო-სამართლებრივ დანაშაულების მიწაზე	113114	2,791.7	0.0	2,791.7	1,384.5	0.0	1,384.5	1,384.5	0.0	1,384.5
ფიზიკური პირებიდან	1131141	2,051.7		2,051.7	1,044.5		1,044.5	1,044.5		1,044.5
იურიდიული პირებიდან	1131142	740.0		740.0	340.0		340.0	340.0		340.0
არამატერიალურ-სამართლებრივ დანაშაულების მიწაზე	113115	100.9	0.0	100.9	18.5	0.0	18.5	27.6	0.0	27.6
ფიზიკური პირებიდან	1131151	7.6		7.6	12.0		12.0	7.6		7.6
იურიდიული პირებიდან	1131152	93.3		93.3	6.5		6.5	20.0		20.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0.1		0.1	0.0			0.0		
სხვა გადასახადები	116	0.0		0.0	0.0			0.0		
გრანტები	**13**	**5,600.7**	**4,150.2**	**1,450.5**	**3,792.2**	**2,283.4**	**1,508.8**	**1,925.5**	**0.0**	**1,925.5**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	131	0.0			0.0			0.0		
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	0.0			0.0			0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	5,600.7	4,150.2	1,450.5	3,792.2	2,283.4	1,508.8	1,925.5	0.0	1,925.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	**1311**	**1,450.5**	**0.0**	**1,450.5**	**1,508.8**	**0.0**	**1,508.8**	**1,925.5**	**0.0**	**1,925.5**
გათანაბრებითი ტრანსფერი		1,285.5		1,285.5	1,323.8		1,323.8	1,740.5		1,740.5
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		165.0		165.0	185.0		185.0	185.0		185.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიზნობრივ ღონისძიებების დასაფინანსებლად					0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**1312**	**4,150.2**	**4,150.2**	**0.0**	**2,283.4**	**2,283.4**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
რეგიონებს განსახორციელებელი პროექტების ფონდი		3,685.9	3,685.9		1,831.9	1,831.9		0.0		0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		464.3	464.3		451.5	451.5		0.0		

პრემიალების სარეზერვო ფონდი		0.0			0.0			0.0		
მიპარობის სარეზერვო ფონდი		0.0			0.0			0.0		
		0.0			0.0			0.0		
სხვა შემოსავლები	14	1,304.3	0.0	1,304.3	850.0	0.0	850.0	1,000.0	0.0	1,000.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	1,149.9	0.0	1,149.9	763.6	0.0	763.6	843.6	0.0	843.6
პროცენტები	**1411**	361.3		361.3	100.0		100.0	0.0		
დივიდენდები	**1412**	**0.0**			**0.0**			**0.0**		
რენტა	**1415**	**788.6**	**0.0**	**788.6**	**663.6**	**0.0**	**663.6**	**843.6**	**0.0**	**843.6**
მოსარგებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	788.3		788.3	663.6		663.6	843.1		843.1
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (ტუტერტუტები, ქირავნობა და სხვ.) გადაცემი დან	14154	0.3		0.3	0.0			0.5		0.5
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0			0.0			0.0		
საკონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	44.5	0.0	44.5	36.4	0.0	36.4	49.4	0.0	49.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**1422**	**41.9**	**0.0**	**41.9**	**36.4**	**0.0**	**36.4**	**46.4**	**0.0**	**46.4**
საერთო-სახელმწიფოებრივი საყოველთაო მოსაკრებელი	14222	0.0			0.0			0.0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	2.1		2.1	1.0		1.0	1.0		1.0
სახელმწიფო ბაჟი	14227	0.0			0.0			0.0		
საფოსტო ნფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	14229	0.0			0.0			0.0		0.0
სამხედრო საგალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.2		0.2	0.4		0.4	0.4		0.4
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	0.0			0.0			0.0		
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი	142215	0.0			0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	142216	0.0			0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	39.6		39.6	35.0		35.0	45.0		45.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0			0.0			0.0		

არასაბანრო წესით გაცემული საქონელი და მომსახურება	**1423**	**2.6**	**0.0**	**2.6**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**3.0**	**0.0**	**3.0**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0.0			0.0			0.0		
შემოსავლები მომსახურების განეკვეთან	14232	2.6		2.6	0.0			3.0		3.0
ჯარიმები, სანქციები და საურგები	143			109.7	50.0		50.0	105.0		105.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0.0			0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145			0.2	0.0			2.0		2.0
არაფინანსური აქტივების კლება	**31**	**53.1**	**0.0**	**53.1**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**10.0**	**0.0**	**10.0**
ძირითადი აქტივები	311			4.2	0.0			0.0		
მატერიალური მარაგები	312	0.0			0.0			10.0		10.0
ფასეულობები	313	0.0			0.0			0.0		
არწარმოებული აქტივები	314	48.9	0.0	48.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიწა	**3141**			48.9						
სხვა ბუნებრივი აქტივები	**3143**	0.0			0.0			0.0		
ფინანსური აქტივების კლება	**32**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
სამეწარმო	321	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213	0.0			0.0			0.0		
სესხები	3214	0.0			0.0			0.0		
აქციები და სხვა კაპიტალი	3215	0.0			0.0			0.0		
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216	0.0			0.0			0.0		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217	0.0			0.0			0.0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	3218	0.0			0.0			0.0		
საგარეო	322	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223	0.0			0.0			0.0		
სესხები	3224	0.0			0.0			0.0		
აქციები და სხვა კაპიტალი	3225	0.0			0.0			0.0		
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226	0.0			0.0			0.0		
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227	0.0			0.0			0.0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	3228	0.0			0.0			0.0		
ვალდებულებების ზრდა	**33**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
საგარეო	331	0.0			0.0			0.0		
სამეწარმო	332	0.0			0.0			0.0		

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა

დაბრძანებულა შემოდგომის ხვავრიელი ღვთაება!

ამბობენ, ნათქვამს ნანახი სჯობიაო და მეც, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ქ. დედოფლისწყაროს N4 საბავშვო ბაგა-ბაღის მოწვევა მივიღე და უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებს საშემოდგომო ზეიმზე ვეწვიე. მაინტერესებდა, როგორ ცხოვრობენ დღეს ჩვენი გოგო- ბიჭები. ჩემს მეხსიერებაში დარჩენილია კვამლით გაბოლილი კედლები, დამტვრეული გრძელი სკამები, რომელსაც საზურგეც კი არ ჰქონდა, სახლიდან მიტანილი ხახვი, კარტოფილი, შეშა და სხვაც ბევრი რამ. მახსოვს, კონკრეტულად ეს საბავშვო ბაღი ხან დაკეტილი და ფუნქციადაკარგული, ხან დროებით მოქმედი. ამიტომ, მაინტერესებდა, დღეს რა მდგომარეობაა იქ, რა შეიცვალა.შენობა გარედან სასიამოვნო შთაბეჭდილებას ნამდვილად არ სტოვებს.

-მიმდინარე წელს თანხები არ გვეყო გარე სამუშაოების შესასრულებლად, ამას მომავალ წელს მივხედავთ. რაც შეეხება შიდა ინტერიერს, ყველაფერი მოვაწესრიგეთ- შევიყვანეთ ბუნებრივი აირი, დავამონტაჟეთ გათბობის ღუმელები, წყალი 24 საათი მოდის, სამზარეულო უზრუნველყოფილია ცხელი წყლითაც, ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, შევიტანეთ ახალი დგამ-ავეჯი, ასე რომ, იმედია, მოგეწონებათ, - მიყვება სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი. სადარბაზოში შესვლისთანავე მივხვდი, რომ აქ ზემდგომის ხელთან ერთად კოლექტივიც მონდომებულია. კედლები თუ ამოქოლილი კარებების გულები ისეა აპლიკაციებით გაცოცხლებული, რომ მნახველს შესვლისთანავე სასიამოვნო განწყობაზე აყენებს. ჯერ უმცროს ჯგუფს ვათვალიერებთ. სუფთა, თანამედროვედ გარემონტებული ოთახები, ფანჯრებზე არაჩვეულებრივი, ბავშვებისთვის ნაცნობი ზღაპრის გმირების გამოსახულებით დამშვენებული, სივრცესთან ჰარმონიულად შერწყმული გამჭვირვალე ფარდები, საძინებელში ახალი საწოლები და ახალი ქვეშაგებები, გაკრიალებული ტუალეტი და ხელსაბანი.

კომუნისტების დროიდან დღემდე ამ ბაღში ვმუშაობ, ასეთი პირობები არასოდეს გვქონია. ამ ზაფხულს, ძლიერი გვალვების დროს, წყლის მოწოდება რომ შეფერხდა, სასწრაფოდ ავზები დაგვიმონტაჟეს, ხელი არ შეგეშალოთო. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ჩვენს დირექტორს ხათუნა ხატიაშვილს, სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს და მთელ კოლექტივს.ყველაფრით უზრუნველყოფილნი ვართ, მუშაობა სახალისოა, აღარ მეთმობა აქაურობა, ახლა ჯერი ჩვენზეა და ჩვენც ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რომ ბავშვებს ვასწავლოთ არა მარტო ქცევის ნორმები და წესები, ლექსები და ზღაპრები, არამედ მტკიცე საფუძველი ჩავუყაროთ მათ ცოდნას ისე, რომ სკოლაში მისულებს მასწავლებელი ეკითხებოდეს, რომელ საბავშვო ბაღში დადიოდი , ვინ იყო შენი აღმზრდელიო და მადლობას გვიხდიდეს, - ამბობს ჩვენთან საუბარში ღვაწლმოსილი აღმზრდელი ლამარა მაჭარაშვილი.

უფროს ჯგუფში ყველაფერ ამას სასადილო ოთახის გვერდით ფართო სათამაშო ოთახი ემატება და ყველაზე მნიშვნელოვანი - გათბობა, ტემპერატურა, უწინდელივით ქურთუკით აღარავინ ზის. არადა, ეს არც თუ ისე შორეული წარსულია. სულ რაღაც ორი-სამი წლის წინ ბაღების მდგომარეობა, მსუბუქად რომ ვთქვათ არცთუ სახარბიელო იყო. ახალმა მთავრობამ და დარგის ახალმა ხელმძღვანელმა, მთელს კოლექტივთან ერთად, დაუღალავი შრომით და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის დახმარებით, არნახული ნაბიჯები გადადგა:-მშობლები განთავისუფლდნენ გადასახადისგან, ძირფესვიანად შეიცვალა ბავშვთა კვების რაციონი, რამაც ბავშვთა რაოდენობის მატება გამოიწვია. დღეს ამ ბაღში ორი-ბაგის და ბაღის ჯგუფები მუშაობს და სულ 42 ბავშვი ირიცხება. ბავშვთა რაოდენობის სიმცირე კი ერთი დიდი ეროვნული ტკივილის მიზეზ-შედეგობრივი მდგომარეობითაა გამოწვეული:

-ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ლუკმა-პურის საშოვნელად ან დედაქალაქში, ან საზღვარგარეთ გაიხიზნა, იკლო შობადობამ, იმატა უშვილობამ, რომელსაც, ჯერ-ჯერობით, მთავრობა სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს (გინეკოლოგიური და უშვილოთა მკურნალობა არც ერთ სადაზღვევო პაკეტში არ შედის). ასე რომ, თუ გვინდა, ბაგა-ბაღები ისევ ძველებურად ასობით ბავშვის ჟრიამულმა აავსოს, ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს უნდა შევეჭიდოთ და მოვაგვაროთ.

ახლა კი ჩვენს ძირითად თემას - შემოდგომის ზეიმს, მივუბრუნდეთ. თბილი და ნათელი დარბაზი შემოდგომის ფერებითაა მორთული- სარზე ახვეული ვაზი, ბროწეულის მსხმოიარეხე, წითელ-ყვითლად შეფერილი ფოთლებით მოფენილი იატაკი საშემოდგომო განწყობას ნამდვილად ქმნის. ჯგუფის აღმზრდელი ციალა ბოლაშვილი და მუსიკის მასწავლებელი თამუნა წიკლაური ბავშვებს დარბაზში შემოუძღვნენ და ზეიმიც დაიწყო. სილამაზის სალონებში საგანგებოდ დავარცხნილი და გამოპრანჭული გოგონები და „ჩაშმოტკილი“ ბიჭები ერთმანეთის მიყოლებით შემოვიდნენ და სითბო და სიყვარული შემოიტანეს. დაიწყო და რა დაიწყო, ცეცხლი დაანთეს პატარებმა: ლექსი, მონტაჟი, სკეტჩი, ცეკვა და სიმღერა... უგალობენ წელიწადის ყველაზე ბარაქიან დროს - შემოდგომას, რთველს, ვაზს, საწნახელს, ჩურჩხელებს, რომლებიც თოკზე „განდაგანას“ ცეკვავენ, ვაზის მრავალი ჯიშის სახელი იციან, იციან, რომ ვაზს შვილივით მოვლა სჭიდება, ჯერ ძირებს უბარავენ დარბაზში „გაშენებულ“ ვენახს, მერე კრეფენ, მანქანებით მარანში ეზიდებიან, საწნახელში ჰყრიან და ჯანმაგარი ბიჭები ხელგადახვეულები ჰარი- ჰარალეს სიმღერით წურავენ ყურძენს, ბადაგს ბებია ადუღებს, ჩურჩხელებსაც სათითაოდ უვლებს მარის და ნინოს, გიორგის და ოთოს, ანას, ტატას, თამარს, ანუკის, თეკლას, ანანოს, ნიკას და ლუკას, საბას, თინიკოს, სალომეს, რადგან მათ დღეს დიდი სიამოვნება მიანიჭეს მოწვეულ სტუმრებს, პაპებს და ბებიებს, მშობლებს, რომლებიც თავდავიწყებით გულშემატკივრობდნენ საკუთარ შვილებს, ტუჩების ცმაცუნით მათთან ერთად იმეორებდნენ მათ ლექსებს, მღეროდნენ მათთან ერთად, უღებდნენ სამახსოვრო სურათებს, ვიდეოებს, რათა ბავშვობის ბედნიერი წუთები სამუდამოდ დარჩეს მათი ცხოვრების არქივში. ყველა კმაყოფილი ვტოვებთ საბავშვო ბაღს და მადლობას ვეუბნებით ბაღის დირექტორს ხათუნა ხატიაშვილს, აღმზრდელს ციალა ბოლაშვილს, მუსიკის მასწავლებელს თამუნა წიკლაურს და თითოეულ ბავშვს, იმ სიამოვნებისთვის, რაც მათ მოგვანიჭეს. მოვდივარ და ყურში კვლავ მესმის ლუკა სუნტიძის ხმა:

„მარნის კართან, ბეღლის კართან
ჭირნახულის საგზე კალთა
დაიბერტყა შემოდგომამ
და წელში რომ გაიმართა,
თეთრი ზამთრის სადღეგრძელო
დიდი უანწოთ შესვა მაშინ,-
ეს დოვლათი ჩემს სახლიკაცს
მოეხმაროს მშვიდობაში!

ეს ზამთარიც მშვიდობიანი გქონოდეთ და მთელი ცხოვრებაც, ჩვენო თვალხატულა გოგო-ბიჭებო, ჩვენო იმედო და მომავალო, ჩვენო პატარებო.

ნაირა გორაშვილი

13 ნოემბერი 100 000 მოწამის ხსენების დღეა

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ძნელბედობის ჟამი დაუდგა საქართველოს. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: "ქვეყანა საქართველოისა მიეცა განსარყვნელად ამის ძალითა, რამეთუ დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალება, სიყვარული, სიწრფოება, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამპარტავნება, ზაკვა, შური, სიძვანი, უწესობანი". ჩინგიზ ყაენისაგან ძლეული ხვარაზმის სულთანი, ჯალალედინი, დედაწულითურთ აიყარა და საქართველოს საზღვრებს მოადგა. ამ დროს საქართველოს თამარ მეფის ასული - რუსუდანი, განაგებდა. რუსუდანის ბრძანებით შეკრებილი ქართველთა ლაშქარი გარნისთან გამართულ ომში დამარცხდა. სულთანმა სიონის ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ბრძანა, ზედ თავისი "ბილწი საჯდომელის" დადგმა. მერე კი ბოროტებამ ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა: ჯალალედინის ბრძანებით, სიონის ტაძრიდან გამოასვენეს მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები, მტკვარზე გადებულ ხიდზე დაასვენეს და თბილისელებს უბრძანეს "დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა და დატევება სჯულისა". ვინც ამას არ აღასრულებდა, "წარკუეთა თავთა" ელოდა.

ასი ათასი ქართველი შეეწირა ამ დღეს წმიდა ხატების თაყვანისცემასა და სარწმუნოების დაცვას, ასი ათასი მოჭრილი თავი და ასი ათასი თავწარკვეთილი სხეული გაატანეს უსჯულოებმა მდინარე მტკვარს.

მეტეხის ხიდს 100 ათასი მოწამის სახელობის მეტეხის ხიდი ეწოდება. ამის შესახებ 13 ნოემბერს მეტეხის ხიდზე პარაკლისის დაწყებამდე დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პარაკლისზე ასევე იმყოფებოდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი საკრებულოს წევრებთან ერთად და ნაძალადევის რაიონის გამგებელი ზაზა გაბუნია.

წმინდა 100 ათასი მოწამის პატივის მისაგებად ხიდზე უამრავი ადამიანი თბილისის სხვადასხვა უბნებიდან შეიკრიბა. ისინი იქ ყვავილებითა და სანთლებით მივიდნენ. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სასულიერო პირებთან ერთად ხიდზე პარაკლისი გადაიხადა და შეკრებილი მრევლი, სრულიად საქართველო დალოცა. პარაკლისის დასრულების შემდეგ ტრადიციულად კათოლიკოს-პატრიარქმა, მორწმუნეებმა ხიდიდან მტკვარში ყვავილები ჩაყარეს, ნიშნად 100 ათასი მოწამის პატივისცემისა და მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად.

ხსოვნა

ილიკო შარვაძე

მე რომ მქონდეს ნატვრისთვალი,
ღმერთს ერთ ნატვრას გავუბედავ,
არსად, არსად, არასოდეს, არ
მოუკლას
შვილი დედას.

წარმოუდგენლად მწარეა ჩემთვის 21 ნოემბერი. ნეტავ ამ უბედურ დღეს არ მოვსწრებოდი. რა სწრაფად გავიდა შენი იმქვეყნიურ სასუფეველში გადასვლის ორი წელი, უფალმა მხოლოდ 38 წლის სიცოცხლე გარგუნა, ჩემო მარადიულო სევდავ და ტკივილო, ჩემო დაუსრულებელო დარდო, ჩემო სუნთქვავ, ჩემო უდროოდ და მოულოდნელად გაფრენილო შვილო, ილიკო.

შენზე ფიქრებში გათენებულმა ამ ორმა წელმა ჩემს გულზე გადაიარა. ეს დრო ვერ დანისლავს ჩემს ფიქრებსა და მოგონებებს, შვილო. მე იმ გარდასულ დღეთა სინათლე და სინამდვილე მენატრება, შენი სუნთქვით გამთბარი, შენი ღიმილი მენატრება. შენ რომ მიღიმოდი, სულში მზე ამოდიოდა და გულში გაზაფხული იწყებოდა. სახლში რომ შემოხვიდოდი - „დეე, სადა ხარო", დამიძახებდი, ახლაც როგორ მინდა ამ სიტყვების კიდევ ერთხელ გაგონება და შენი გულში ჩახუტება, ჩემო დედისერთა ბიჭო. ძნელი და გაუსაძლისია უშენოდ სიცოცხლე, ძალიან მენატრები,შვილო. უკვე ორი წელი გავიდა, მაგრამ ეს გრძნობა უფრო მეტად და მტკივნეულად ღრღნის სულსა და გულს. არ მინდა დავიჯერო, რომ შენ აღარ მყავხარ, მე ისევ და ისევ უსაზღვროდ გელოდები, მუდამ ჩემთან ხარ და იქნები. ძალიან მიჭირს სიტყვა გახსენების დაწერა. შენ ჩემს გულში სულ ცოცხალი ხარ, გელოდები და გელაპარაკები, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ვერ გხედავ, ვერ გეფერები, ვერ ვხედავ შენს ლამაზ სახეს, შენს ცისფერ თვალებს, არ მესმის შენი ტკბილი, გულიდან ამოძახილი-დეე-ოჰ, რა დიდი ტკივილია, რომ მე დედას არავინ აღარ დამიძახებს, შვილო. ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რატომ დამსაჯა ასე მწარედ განგებამ.

შენს ლამაზ სიცოცხლესთან ერთად, მრავალი აუხდენელი ოცნებაც ჩაიფერფლა, უამრავ ადამიანს ატკინე გული, უცრემლოდ ვერავინ გიგონებს. როგორ ხარობდი შენი პატარა შვილებით, მაგრამ ვაი, რომ მათი გაზრდა შენ არ დაგცალდა და ვერ გაიხარე მათთან ერთად. დასანანია, შვილო, შენს პატარა ილიკოს მხოლოდ სურათებით და გადმოცემით, რომ ემახსოვრები.

მე ყველა მიყვარს, შვილო, ჩემს შვილიშვილებს შემოევლოს ჩემი თავი, მაგრამ შენ სხვა იყავი, ჩემო ერთადერთო სანთელო, ახლა კი იმქვეყნიურო იმედო და პატრონო, ჩემო ილიკო. რა ძნელია ერთადერთი შვილის დაკარგვა, უპატრონო მიცვალებულივით დამტოვე, შვილო, მინის ზევით უშენოდ. შენზე ვამყარებდი იმედებს, ჩემი სიბერის ძლიერი საყრდენი იყავი, ახალა კი ჰაერში ვარ დარჩენილი. შვილმკვდარ დედას სახელი არა აქვს. დღეს ფუჭია ჩემი ცხოვრება, ჩემთვის ყველაფერი გაქრა. უშენობა სასჯელია, მძიმე და უსამართლო, რას არ გავიღებდი, დრო რომ უკან დაბრუნდებოდეს, მაგრამ ვაი, რომ, არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

დრო მხოლოდ მოგონებებს გვიტოვებს, ის რაც იყო გუშინ, არასოდეს განმეორდება. ბევრი ლამაზი და დაუვიწყარი დღე მაჩუქა განვლილმა წლებმა, მაგრამ ბევრი სევდა და ტკივილიც დამიტოვა, ჯერ მეუღლის ნაადრევად წასვლამ, შემდეგ კი ჩემი ერთადერთი შვილის დაკარგვამ სამუდამოდ ამომშალა ამქვეყნიური ცხოვრებიდან და გამანადგურა.

საყვარელი ადამიანების მონატრება უსასრულობაში გადადის. ჩემი ერთად-ერთი „ნუგეშიც", სწორედ, რომ მამაშვილის „შეხვედრაა" ზეციურ სამყაროში. ღმერთს საყვარელი ადამიანები სამუდამო ღამისთვის არ ემეტებასულის არსებობა მარადიულია.

ჩემს ბავშვობაში გამიგონია, უფროსები რომ იტყოდნენ ხოლმე, დავიღალე, აღარ მინდა სიცოცხლე, ნეტავი მომკლაო, ყოველთვის მიკვირდა, სიკვდილი რაღა სანატრელია-მეთქი, ახლა კი უკვე მესმის მათი, როცა საყვარელი ადამიანი აღარა გყავს ცოცხალი, მზის შეხედვაც კი სატანჯველია და გშურს შენი თავისა. მაგრამ ძვირფასი ადამიანის სიცოცხლე საფლავთან არ მთავრდება, ნუგეშად ისღა დამრჩენია, რომ ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს. შენ ახლა ზეცაში ხარ, ანგელოზებთან, ღვთის სასუფეველში, მე კი ღვთის გაჩენილ მაგრამ ცოდვილ დედამიწაზე. ეს ორი წელი სხეულში ჩაღვენთილ ტყვიასავითაა ჩემთვის, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ვატარო, რადგან ეს ჩემი ტკივილია, გაუყუჩებელი და გაუნელებელი, ჩემო ილიკო. მოვდივარ შენს საფლავზე და ცრემლებით ვასველებ შენს გულზე დაყრილ მიწას. შენი საფლავი ხატია დედისთვის.

ჩემმა დანთებულმა სანთლებმა გზა გაგინათოს და დაგიმკვიდროს ცათა საუფეველი. გფარავდეს ნათელი უფლისა და შუქი კელაპტრისა, მარად რომ ანთია შენი უბედური დედის გულში.

ჩემო სიზმრად და ლანდად ქცეულო შვილო, ღვთის მადლი ეფინოს შენს სამყოფელს.

ძალიან მენატრები, კურთხეულ იყოს ეს მონატრება.საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

შენი მონატრებული და უბედური დედა - ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე; **მეუღლე** თამუნა წივწივაძე; **შვილები:** ნია და ილიკო შარვაძეები.

გიგა ლაპიაშვილი



უღრუბლო ცაზე მეხის გავარდნას გავდა შენი ტრაგიკული სიკვდილი, რამაც საშინელი და დაუვიწყარი ტკივილი მოგვაყენა ყველას შენს ირგვლივ. ამ მოულოდნელობით აღსავსე ქვეყანაში, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო ეს შემზარავი ამბავი, რადგანაც 15 წლის უცოდველ, პატარა ბიჭს, სიკეთით სავსეს, გარშემო სულ კეთილი თვალებით გიყურებდნენ და რატომ უნდა მომხდარიყო ასეთი სასწაული? მალე რვა წელი გახდება, რაც ჩვენგან წახვედი. განვლილ წლებს უფრო მეტი ტკივილი და მონატრება მოსდევს. ძალიან მძიმე და გაუსაძლისია უშენოდ ყოფნა. ბებო გენაცვალოს დღე და ღამ შენს ირგვლივ ფიქრით ვარ დაკავებული, თუ როგორი ანგელოზი დავკარგეთ სამუდამოდ. სიცოცხლესთან ერთად რა დიდი სიხარული და სიყვარული დაგაკლდა შენს უცნობ რძალსა და პატარა ძმისშვილებთან. გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული მწუხარება. მუდამ სევდიანი და სახეზე ღიმილდაკარგული მამაშენის ყოველი შეხედვა გულს მითუთქავს. მე მრცხვენია ჩემი სიცოცხლის, რადგანაც შენს შემდეგ მე ისევ ცოცხალი ვარ, მაგრამ ალბათ ესეც ჩვენი ბედუკულმართობის დასტურია.13 ნოემბერი შენი დაბადების დღეა, ჩემო საყვარელო. როგორც ყოველთვის, ახლაც მოვალთ შენს საფლავზე. დაგინთებთ უამრავ სანთელს, რომ გზა გაგინათოთ სასუფეველში. გაყინულ ქვაზე დახატულ შენს ლამაზ სახეს და თვალებს დაგიკოცნით და ხელმოცარულნი დავბრუნდებით უკან. მე და პაპაშენი გელოდებით როდის მოგვევლინები მეგზურად,რომ შენთან წაგვიყვანო და სამუდამოდ ჩაგიხუტოთ გულში.

შენი ოჯახი, შენი მშობლები, **შენი ბებია** - ელისაბედი (ლიზიკო) ლაპიაშვილი-სეფიაშვილი, **პაპა** - გაიოზ ლაპიაშვილი.

შ.პ.ს. გაზეთ „შირაქის" რედაქციის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

ციცო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მაკა, მაგდა მენთეშაშვილებს, თემურ ალადაშვილს

ეთერის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს კერძო სკოლა „ბენაურის" პედაგოგები თანაგრძნობას უცხადებს მარიკა პოპიაშვილს დედამთილის

ციცო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი ნათესავები: ნინო მახარაშვილი, ელენე და თამუნა ხურცილავები თანაგრძნობას უცხადებენ მარიკა პოპიაშვილს და გოჩა ყოჩიაშვილს დედის

ციცო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ჭიჭინაძეს მძახლის

ციცო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

შპს გაზეთ „შირაქის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს სამმართველოს უფროსს დავით ჯალიაშვილს მამის

როლანდ ჯალიაშვილის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს ლირიკის" სარედაქციო საბჭო გულწრფელ სამძიმარს უცხადებს ამავე გაზეთის საკუთარ კორესპონდენტს მარიკა პოპიაშვილს დედამთილის

ციცო ყოჩიაშვილის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე არსენა; შვილები: გოჩა, ნინო ყოჩიაშვილები; რძალი მარიკა პოპიაშვილი; სიძე მიშა ხარაშვილი; შვილიშვილები: არსენა, დათო ყოჩიაშვილები, მაკა, რეზო, ქეთი ხარაშვილები; მძახალი ნანა ჭიჭინაძე ოჯახებით უღრმესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ციცო ქადაგიშვილი-ყოჩიაშვილი

დაიკრძალა 11 ნოემბერს, დედოფლისწყაროში.

ვაშლოვანის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები თანაგრძნობას ვუცხადებთ გოჩა ყოჩიაშვილს დედის

ციცო ყოჩიაშვილის

გარდაცვალეის გამო.

სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები: ეკა გიორგანაშვილი, ვალერი იაკობიშვილი, მანანა ცხვედიაშვილი, ნანა თავაძე, ლალი ხუცურაული, ნათელა თამაზაშვილი, მარინა ქორიძე, ნუცა ალუღიშვილი, მარინა მეხრიშვილი, ეთერ ლობჟანიძე, მერი ბუთხუზი, ირმა ჩალახეშაშვილი, მაია შიუკაშვილი სამძიმარს უცხადებენ ბაბუცი ჯორკოშვილს მამის

სპირიდონ ჯორკოშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები: ნინო, ბაბუცი, ზურა; რძლები: ნინო ოქროპირიძე, ინგა ხარაიშვილი; სიძეები: მიზეილ ჯანიკაშვილი, დავით ლაზარიშვილი; შვილიშვილები: გიორგი, ანა, რუსუდანი, მარიამი; დისშვილები, ძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სპირიდონ ჯორკოშვილი

დაკრძალვა 16.XI.2014.დედოფლისწყაროში.



მეუღლე სეილანი, შვილები: დავითი, თამაზი, რძლები: მაია ბაღაშვილი, ქეთი ფილაშვილი, შვილიშვილები: გიორგი, ელენე, მარიამი, მძახლები: ბაბულია დათუკიშვილი, სვეტა და გია ფილაშვილები, ძმისცოლი ლიანა, ძმისშვილები ლალი და გოგიტა ჯალიაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

როლანდ ჯალიაშვილის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 11 ნოემბერს ქ. დედოფლისწყაროში.

კიდევ ერთი წარმატებული დღე...

9 ნოემბერს საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა ახალგაზრდა ფოლკლორისტთა მე-17 შეკრება, რომელიც პირველად 1970 წელს ჩატარდა და ყოველ 2 წელიწადში ერთხელ იმართება.

ღონისძიების ორგანიზატორი საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ფოლკლორის კაბინეტი იყო. ეს შეკრება მიზნად ისახავდა, დაეხმაროს ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა მოძიებით, კვლევითა და სწავლით დაინტერესებულ ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავებასა და მათი საქმიანობის წარმოჩენაში საზოგადოების წინაშე.

საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის თეთრ დარბაზში მოეწყო გამოფენა , სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულ მოსწავლეთა ნამუშევრები (ნაქარგი, ნაქსოვი, ნახატი, თექისა და ქეჩის ნაწარმი და სხვა). ასევე, სექციურ სხდომებზე მოსწავლეებმა მათ მიერ მოძიებული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები(ზღაპარი, ლექსი, ანდაზა,გამოცანა) წაიკითხეს, რომელიც მეცნიერ-ფოლკლორისტებმა შეაფასეს.

ამ შეკრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ დედოფლისწყაროს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის შემოქმედებითი წრის "ხორნაბუჯის" წევრები:ნინო მახარაშვილი, მარიამ ლაპიაშვილი, მარიამ ფიროსმანაშვილი, გვანცა გოგიჩაიშვილი, ელენე და ანა ბულაშვილები და ტრადიციული ხელსაქმის წრის "საწმისის" მოსწავლეები: ქეთი არაბული, ნინო ცისკარაული, ქეთი ღვინიაშვილი, ნინო კვანჭიანი და ანა ბერიძე. ორივე წრის გოგონები ძალიან საინტერესო განაცხადით წარსდგნენ მოსწავლეთა ეროვნული სასახლის შეკრებაზე. პროექტმა "ცოცხალი საუნჯე" დიდი მოწონება დაიმსახურა და საქართველოს მეცნიერ-ფოლკლორისტების დაინტერესება გამოიწვია. ამ პროექტში მოსწავლეები ჩვენი რაიონის ერთ-ერთ კოლორიტულ, უხუცეს ქალბატონზე, იგივე "ბერდედაზე" - მარიამ ოჩიაურ-გოგოჭურის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობენ, მის ღვაწლსა და დამსახურებაზე ქართული ფოლკლორის კუთხით. ქალბატონი, როგორც სახალხო მთქმელი, განთქმული მისი ლექს-კაფიებითა თუ "ვეფხისტყაოსნის" ზეპირად ცოდნით, ხელსაქმის დიდოსტატი, გარმონზე ხალხური სიმღერების ხევსურული დიალექტით უბადლო შემსრულებელი და სხვა უამრავი დამსახურებით ცნობილი ადამიანი. მოსწავლეებმა "ბერდედას" ხელსაქმის ნიმუშებით მდიდარი ფოტო და ვიდეო მასალა წარადგინეს 9 ნოემბერს გამართულ შეხვედრაზე. ფოლკლორის ცენტრმა მოწონებული მასალა წაიღო, ხოლო მოსწავლეები: ნინო მახარაშვილი, მარიამ ლაპიაშვილი, მარიამ ფიროსმანაშვილი, გვანცა გოგიჩაიშვილი, ელენე და ანა ბულაშვილები დააჯილდოვეს საპატიო სიგელებით.

თემით "ლეგენდები და თქმულებები ქიზიყის ძველი ისტორიიდან" შეკრებილთა წინაშე მასალა პერსონალურად წარადგინა სამრეკლოს მე-7 კლასის მოსწავლემ და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის შემოქმედებითი წრის წევრმა გვანცა გოგიჩაიშვილმა, ხოლო ამავე წრის მოსწავლეებმა ელენე და ანა ბულაშვილმა წარადგინეს მხატვრული თოჯინები ანიმაციური ფილმებიდან:"ზღაპრის გუდა", "ნაცარქექია", "დევი", "ციცინათელა" და ა.შ.

ჩვენ გავესაუბრეთ პროექტში მონაწილე მოსწავლეებს, რომელთაც გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები.

მარიამ ფიროსმანაშვილი: - ეთნოგრაფიისა და მხარეთმცოდნეობის წრე ოქტომბერში დაარსდა და მაშინვე გამიჩნდა სურვილი, ამ წრის წევრი გავმხდარიყავი . დღეს უკვე მიხარია, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართულ მე-17 შეკრებაში მონაწილეობამ მე ერთი ძალიან ლამაზი და შთაბეჭდილებებით სავსე დღე მაჩუქა, გავიცანი ჩემი თანატოლები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ერთმანეთს გავუცვალეთ აზრები , ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც მანამდე არ ვიცოდი და სურვილი გამიჩნდა, სხვა თემებიც დავამუშავო და უფრო ღრმად გავეცნო ფოლკლორის სხვა ნიმუშებს ჩვენი რაიონის სხვადასხვა ადგილებში.

ნინო ცისკარაული: მე ძალიან ბედნიერი ვარ ამ ღონისძიებაში მონაწილეობით, ძალიან ბევრი რამ მომცა ამ ერთმა დღემ, წავიღეთ და ფართო საზოგადოების, სპეციალისტების წინაშე გამოვფინეთ ჩვენი ნამუშევრები, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე სხვათა ნამუშევრების დათვალიერებამ, მოვისმინეთ სხვადასხვა კუთხის დიალექტზე წაკითხული ლექსები, ვნახეთ ნინოწმინდელი მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი სომხური ქორწილის სხვადასხვა დეტალები, გავეცანით იქაური სადილების რეცეპტებს, დავათვალიერეთ თიანეთიდან ჩამოტანილი ფარდაგები, გავეცანით ორიგამული ხელოვნების ნიმუშებს. იქიდან დაბრუნებული, ჩემს თანატოლებს ყოველდღე ვუზიარებ ჩემს ემოციებსა თუ შთაბეჭდილებებს.

როგორც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ირმა ბენაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, შეკრებაზე მყოფმა სხვადასხვა რაიონების კოლეგა-პედაგოგებმა სურვილი გამოთქვეს, სამომავლოდ ურთიერთობის გაგრძელების, პროექტებზე ერთობლივი მუშაობის და ბავშვებისთვის საერთო საქმის ერთად კეთების .

- არასოდეს დამავიწყდება ჩვენი მოსწავლეების შთაბეჭდილებებით სავსე, გაბრწყინებული სახეები, ამ ყველაფრისთვის კი მინდა, პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეების სახელით, მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს ნიკოლოზ ჯანიაშვილს, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს თამარ თამაზაშვილს და სააღმზრდელო ცენტრის დირექტორს მაია ყოჩიაშვილს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად გაწეული თანადგომისათვის- დასძინა ქალბატონმა ირმამ და აქვე შეგვახსენა, რომ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში დღეისათვის ფუნქციონირებს 8 სახეობის უფასო წრე, მათი ძირითადი აქცენტი მიმართულია მრავალშვილიანთა ოჯახებისა და სოციალურად დაუცველი ფენის ბავშვებზე, თუმცა, ამავდროულად, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მზადაა, მოემსახუროს დედოფლისწყაროში მცხოვრებ ნებისმიერ მოსწავლეს შესაბამისი საჭიროების ფარგლებში.

9 ნოემბერს გამართული ღონისძიებიდან მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი და პედაგოგები მადლობის ფურცლებით, ხოლო მოსწავლეები სიგელებით დაგვიბრუნდნენ.

ელზა ხარაშვილი

გასწორება

ჩვენი გაზეთის 8-15 ნოემბრის ნომერში, მეშვიდე გვერდზე **დავით (უფლისა) ოზგეთელაშვილის** ხსოვნის მასალაში ბოლო სტრიქონი „13 ნოემბერს, შენს დაბადების დღეზე, მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, დაგინთებთ სანთლებს და გაჩუქებთ ცრემლებს, რომლებიც გულწრფელად გეკუთვნის ჩვენგან“, უნდა იკითხებოდეს ასე: „13 ნოემბერს, შენი გარდაცვალების დღეს, მოვალთ შენს სამუდამო განსასვენებელთან, დაგინთებთ სანთლებს და გაჩუქებთ ცრემლებს, რომლებიც გულწრფელად გეკუთვნის ჩვენგან“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

აღნიშნული უზუსტობის გამო რედაქცია ბოდიშს იხდის.

მადლიერება

ვარ 77 წლის ქალი, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, ჯანმრთელობამ მიღალატა და დავბრმავდი ორივე თვალით, ძალიან განვიცდიდი, მაგრამ საოპერაციოდ საჭირო იყო დიდი თანხა, ამისი საშუალება კი არ მქონდა. ჩემდა საბედნიეროდ, ახალმა მთავრობამ აამუშავა საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, რომელმაც საშუალება მომცა, ჩემს ჯანმრთელობაზე მეზრუნა. ოცნებად მქონდა მკურნალობა ჩიჩუების თვალის კლინიკაში "მზერა". იქ რომ მივედი, ზღაპარში მეგონა თავი, მაღალი დონის სპეციალისტები დამხვდნენ, ყურადღება არ მომაკლეს გიორგი ჩიჩუამ,რომლის ოქროს ხელებმა მხედველობა დამიბრუნა. დიდი მადლობა მას და ასევე სხვა მედპერსონალს-, მაია საგინაშვილს, მარინა ტოლმაჩოვას და ყველას, ვინც თავის პროფესიულ მოვალეობას მაღალ დონეზე ასრულებს. აგრეთვე დიდი მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას, დედოფლისწყაროელ მედპერსონალს, რომლებიც ასე ზრუნავენ ხალხზე, განსაკუთრებით კი-პენსიონერებზე. ახალი ხელისუფლების პირობებში ყველამ იგრძნო, რომ მთავრობა ზრუნავს ადამიანებზე.

ლია მჭედლიშვილი

გაიღიმე

სვანი უფროსი მდივანს აძლევს ორ ქაღალდს:

— ეს ორიგინალია, ეს ქსეროკოპია, შეადარე, შეცდომა არსად იყოს გაპარული.

* * *

- მიხოო, ჰოი მიხოო!
- რაო?
- შენი ძროხა პაპიროზს ეწევა?
- არა. რაა რო?
- ჰოო, მაშინ შენი ბოსელი იწვის..

* * *

- რაჟიკუნა ბოშო, დათვინასი არ გეშინია?
- არა...
- ქვე რას ამბობ კაცო, დიდ, უზარმაზარ, ბრჭყალებიან და ღრჯოლებიან დათვზე გეუბნები ბოშო.
- არა, არااااა....
- რატომაო ვითამ, რომელი ტარიელი და ავთანდილი შენა ხარ?
- რავა რატომ შე კაცო, რატომ უნდა მეშინოდეს ვითამ, მე ტყეში არ დავდივარ და ის კუხნაში დაა!...

ულოცავენ!

ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მიერ გამოცხადებული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული გაზეთ „შირაქში“ დაბეჭდილი სტატია - **„ყველაზე მეტად ის სტკივა, როცა ვინმე სიბრალულით უყურებს!“** გახდა. სტატიის ავტორი ლალი მეხრიშვილია. სტატიამ გაიმარჯვა ნომინაციაში- საუკეთესო სტატია ადამიანის უფლებების და ჯანდაცვის თემაზე. ვულოცავთ ლალის ამ გამარჯვებას და წარმატებებს ვუსურვებთ.

გაზეთ „შირაქის“ რედაქცია

იყიდება!

იყიდება1200მ² მიწის ფართობი სოფელ ხორნაბუჯის ტერიტორიაზე, მეგობრობის ქუჩაზე, ახლადაშენებული სამრეცხაოს გვერდით.

577-41-72-25

იყიდება!

იყიდება მუხის კასრები ხუთი ცალი კარგ მდგომარეობაში: 2ცალი 150 ლიტრიანი, 2ცალი 300 ლიტრიანი,1ცალი 450 ლიტრიანი, მისაბმელი ზილის (ტიაგებზე).

598 47 56 21

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 17.11		სამშაბათი 18.11		ოთხშაბათი 19.11		ხუთშაბათი 20.11		პარასკევი 21.11		შაბათი 22.11		კვირა 23.11	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	8°	6°	6°	5°	6°	4°	6°	5°	7°	6°	6°	5°	6°	4°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი

რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**

წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K